



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ჭელიძე თამაზ ლუკას ძე



თ. ჭელიძე

ჭელიძე თამაზ ლუკას ძე (დ. 24. XII. 1934, ქუთაისი), გეოფიზიკოსი, ქიმ. მეცნ. დოქტორი (1975), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1990), საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2014; წ.-კორ. – 1997). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის გეოლ. ფაკ-ტი გეოფიზიკის სპეციალობით (1957). იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო მ. ნოდინას სახ. გეოფიზიკის ინ-ტში (1967-იდან – მთ. მეცნიერი თანამშრომელი). იყო ქანების ფიზიკის განყ-ბის ხელმძღვანელი (1976-იდან), გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორი (1992-2007) და სამეცნ. საბჭოს თავ-რე (1976-იდან). 1996-იდან არის ევროსაბჭოსთან არსებული ცენტრის „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური საშიშროებები“ დირექტორი.

ჭ. ინტენსიურად თანამშრომლობს გერმანიის, აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთის სამეცნ. ცენტრებთან, სადაც 1982-2023 წლებში ხანგრძლივი სამეცნ. მივლინებებით იმყოფებოდა. არის საერთაშ. ჟურნალებში გამოქვეყნებული მრავალი სამეცნ. პუბლიკაციის ავტორი.

ჭ.-ის ძირითადი სამეცნ. კვლევები ეხება არაერთგვაროვან (მოუნესრიგებელ) გარემოში ზედაპირულ ფიზ.-ქიმ. პროცესებს; მყარი სხეულების რღვევის პერკოლაციურ (ფრაქტალურ) მოდელებს; არაწრფივი დინამიკისა და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებას გეოფიზიკაში; მინისქვეშა წყლების სეისმოჰიდრაულიკას; საძიებო გეოფიზიკას და არქეოგეოფიზიკას; გეოეკოლოგიას; დიდი კაშხლების გეოფიზიკურ

კონტროლს; სეისმური რისკის შეფასებას და მინისძვრების პროგნოზს.

არის საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად-ის დედამიწის შემსწავლელი განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (2023-დან), იქვე – საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოსა და ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრი (2023-დან). ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს თსუ-ის გეოლ. ფაკ-ტბე (1990-2006).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000). მიღებული აქვს საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკადემიის მ. ნოდის სახ. პრემია გეოფიზიკის დარგში (2009) და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2013). არჩეულია ინგლისის სამეფო ასტრონომიული საზ-ბის საპატიო წევრად (2021).

თბზ.: გეოფიზიკური მეთოდები ბუნების დაცვაში, თბ., 2004; მენყრების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემების შექმნა (თანავტ.), თბ., 2018; Dynamical Patterns in Seismology. Recurrence Quantification Analysis (თანავტ.), Springer, 2015; [Electrical spectroscopy of porous rocks: A review-I. Theoretical models \(თანავტ.\)](#), [Geophys. Journal International](#), 1999.
